საქართველოს
კონკურენციის
ეროვნული სააგენტო

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს
საგამოძიებო სამსახური

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს შორის

ქ. თბილისი, 2022 წელი

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნულ სააგენტოსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურს შორის

ქ. თბილისი 3 მაისი, 2022 წელი

ერთი მხრივ, სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტო (შემდგომში - სააგენტო), წარმოდგენილი მისი თავმჯდომარის - **ირაკლი ლექვინაძის** სახით, და მეორე მხრივ, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური (შემდგომში - სამსახური), წარმოდგენილი მისი უფროსის - **სოსო რამიშვილის** სახით (შემდგომში ერთობლივად წოდებულნი - მხარეები), საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე მემორანდუმს ურთიერთთანამშრომლობის შესახებ (შემდგომში - მემორანდუმი).

მუხლი 1. მემორანდუმის მიზანი

წინამდებარე მემორანდუმის მიზანს წარმოადგენს, თანასწორობის პრინციპზე დაყრდნობით, მხარეების კომპეტენციას მიკუთვნებულ უფლებამოსილებათა ფარგლებში თანამშრომლობის გაღრმავება, თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის დარღვევის თავიდან აცილება და აღკვეთა, თავისუფალი კონკურენციის დაცვა, კონკურენციის აღსრულების პოლიტიკის გაძლიერება და ჯანსაღი კონკურენტული გარემოს ხელშეწყობა.

მუხლი 2. თანამშრომლობის ფორმები

მხარეები გამოთქვამენ მზაობას, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყონ:

ა) სხვადასხვა აქტივობის განხორციელება საუკეთესო პრაქტიკის გაზიარებისა და დანერგვის მიზნით;

ბ) გამოცდილების გაზიარება სავარაუდო ანტიკონკურენტული ქმედებებისა და ამ სფეროში გამოვლენილ სამართალდარღვევათა ანალიზის საფუძველზე;

გ) ინფორმაციის გაცვლა და საჭიროების შემთხვევაში ექსპერტული/მეთოდოლოგიური დახმარების გაწევა, შესაბამისი საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება, საკანონმდებლო ინიციატივების, წინადადებებისა და დასკვნების მომზადება;

დ) მხარეთა მიერ ორგანიზებულ ერთობლივ ღონისძიებებზე, კონფერენციებზე, სემინარებსა და სხვა აქტივობებში მონაწილეობა.

მუხლი 3. ძალაში შესვლა და ხანგრძლივობა

1. წინამდებარე მემორანდუმი იდება მხარეთა შორის თანამშრომლობის გაძლიერების მიზნით და არ აკისრებს მხარეებს რაიმე სახის დამატებით ვალდებულებებს.

2. წინამდებარე მემორანდუმი იდება განუსაზღვრელი ვადით და ძალაში შედის მისი ხელმოწერის თარიღიდან.

3. მემორანდუმის მოქმედების შეწყვეტა შესაძლებელია ნებისმიერ დროს, მხარის მიერ მეორე მხარისთვის წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით.

მუხლი 4. ცვლილებები და დამატებები

1. წინამდებარე მემორანდუმში ცვლილებების შეტანა ხორციელდება წერილობითი ფორმით, მხარეთა ერთობლივი შეთანხმების საფუძველზე.
2. ნებისმიერი დამატებითი ცვლილება მხარეთა შორის ფორმდება წერილობით და წარმოადგენს წინამდებარე მემორანდუმის განუყოფელ ნაწილს.
3. მხარეებს უფლება აქვთ შეთანხმდნენ თანამშრომლობის იმგვარი საკითხების მოწესრიგებაზე, რომელიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე მემორანდუმით და არ ეწინააღმდეგება მას.

მემორანდუმი ხელმოწერილია 2022 წლის 3 მაისს ქ. თბილისში, შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეული გადაეცემა მხარეებს.

სსიპ - საქართველოს კონკურენციის ეროვნული სააგენტოს სახელით

სააგენტოს თავმჯდომარე
ირაკლი ლექვინაძე

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის სახელით

სამსახურის უფროსი
სოსო რამიშვილი